სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 იანვარი, 2025წ.

ბრძანება № 01-02/12

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე, სპეციალიზაციის კურსის და გადამზადების პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის წერილის (REG 6 22 00643681 13/12/2022წ.), სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის MES 9 25 0000075366 29/01/2025 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე, სპეციალიზაციის კურსის და გადამზადების პროგრამაზე, შესაბამისი პროგრამის სპეციალობის მაძიებელთა კვოტების ფარგლებში, კერძოდ:

ა) სარეზიდენტო პროგრამაზე ,,თერაპიული სტომატოლოგია" – 4 ადგილი;
ბ) სარეზიდენტო პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" – 3 ადგილი;

გ) სპეციალიზაციის პროგრამაზე ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია"- 3 ადგილი;

დ) მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" – 3 ადგილი.

2. კონკურსანტთა განცხადებები და დოკუმენტაცია (ჩამონათვალი წინამდებარე გრძანების N1 დანართში) წარმოდგენილი იქნეს ელექტრონულად, 2025 წლის 29 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით, 10:00 სთ–დან 17:00 სთ–მდე პერიოდში, ბსუ–ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ელექტრონულ ფოსტაზე (chancellery@bsu.edu,ge).
3. სარეზიდენტო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა თუკი გადააჭარბებს მისაღები ადგილების რაოდენობას (კვოტას), საუკეთესო გამოვლინდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული შედეგების თანაბარი ქულების შემთხვევაში კი შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.
4. მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების და სპეციალიზაციის კურსის პროგრამებზე მსურველთა რაოდენობა თუკი გადააჭარბებს მისაღები ადგილების რაოდენობას (კვოტას), საუკეთესო გამოვლინდეს შესაბამის საექიმო სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.
5. გამარჯვებული კონკურსანტების შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის გრძანება გამოიცეს კონკურსის შედეგების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
6. გრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
7. დაევალოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე გრძანების შესაბამისი განცხადების ტექსტის მომზადება და დადგენილ ვადაში ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა (web@bsu.edu.ge).
8. გრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
9. გრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
10. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე

„ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე, სპეციალიზაციის კურსის და გადამზადების პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 29 იანვრის N 01-02/12 ბრძანების

დანართი 1

გამოცხადდა მიღება ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე, სპეციალიზაციის კურსის და გადამზადების პროგრამაზე, შესაბამისი პროგრამის სპეციალობის მაძიებელთა კვოტების ფარგლებში, კერძოდ:

1. **სარეზიდენტო პროგრამაზე „თერაპიული სტომატოლოგია“** (ხანგრძლივობა - 11 თვე) -მისაღები 4 ადგილი;

   კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:
   ა) განცხადება;
   ბ) უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან ცნობა);
   გ) მაძიებლის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი/ცნობა ან სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და შედეგის აღიარების შესახებ;
   დ) ავტობიოგრაფია (cv);
   ე) ფოტოსურათი 3x4 – 2 ცალი;
   ვ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

2. **სარეზიდენტო პროგრამაზე „ორთოპედიული სტომატოლოგია“** (ხანგრძლივობა - 15 თვე) - მისაღები 3 ადგილი;

   კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:
   ა) განცხადება;
   ბ) უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან ცნობა);

გ) მაძიებლის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი/ცნობა ან სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და შედეგის აღიარების შესახებ;
დ) ავტობიოგრაფია (cv);
ე) ფოტოსურათი 3x4 – 2 ცალი;
ვ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

3. **მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამაზე „ორთოპედიული სტომატოლოგია“** (ხანგრძლივობა - 6 თვე) – მისაღები 3 ადგილი;

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება;
ბ) უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
გ) თერაპიულ სტომატოლოგიაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
დ) სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს თანხმობა გადამზადების კურსის (6 თვე) გავლის თაობაზე;
ე) ავტობიოგრაფია (cv);
ვ) ფოტოსურათი 3x4 – 2 ცალი;
ზ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

4. **სპეციალიზაციის პროგრამაზე „ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია“** (ხანგრძლივობა - 3 თვე) - მისაღები 3 ადგილი.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება;
ბ) უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
გ) თერაპიულ სტომატოლოგიაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
დ) ავტობიოგრაფია (cv);
ე) ფოტოსურათი 3x4 – 2 ცალი;
ვ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

5. **კონკურსანტთა განცხადებები და დოკუმენტაცია (ჩამონათვალი წინამდებარე ბრძანების N1 დანართში) წარმოდგენილი იქნეს ელექტრონულად, 2025 წლის 29 იანვრიდან 31 იანვრს ჩათვლით, 10:00 სთ–დან 17:00 სთ–მდე პერიოდში, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ელექტრონულ ფოსტაზე** (chancellery@bsu.edu.ge).

6. სარეზიდენტო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა თუკი გადააჭარბებს მისაღები ადგილების რაოდენობას (კვოტას), საუკეთესო გამოვლინდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული შედეგების თანაბარი ქულების შემთხვევაში კი შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.
7. მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების და სპეციალიზაციის კურსის პროგრამებზე მსურველთა რაოდენობა თუკი გადააჭარბებს მისაღები ადგილების რაოდენობას (კვოტას), საუკეთესო გამოვლინდეს შესაბამის საექიმო სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.